საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №9 (167) ნოემბერი 2023 წელი

ანა ხალიბეგაშვილი

თამთა მელაშვილის ეთერო

თამთა მელაშვილის „შაშვი შაშვი მაყვალი“ ქალთა ხმაა, იმ ქალების ამოძახილი, რომლებსაც ძალა ჯერ არ მოუკრებიათ...

გვ. 2-3

ნინი ბიჩინაშვილი

უოლტ დისნეის პერსონაჟები, რომლებმაც ისტორია შექმნეს



სწორედ მიკი მაუსია პირველი ანიმაციური პერსონაჟი, რომელსაც დიდების ხეივანში საკუთარი ვარსკვლავის ქონის პატივი ერგო.

გვ. 4-5

ლიზა ხასაია

ქართულ სცენაზე გაცოცხლებული - რიჩარდ III

შექსპირის შემოქმედება რომ მხოლოდ რეალობის აღწერა ყოფილიყო, მჯერა, ახლა მისი სახელი ნაკლებად ცნობილი იქნებოდა.

გვ. 6-7

თამთა ქარდავა

შეყვარებულები ახალი ხიდიდან

არის თუ არა ეს სიყვარული, როცა გსურს ვინმეს დაეპატრონო იმ დონემდე, რომ გირჩევნია დაბრმავდეს, ვიდრე დატოვო?

გვ. 8-9

ონისე ქვაჩაკიძე

ჰენრი შუგარის მშვენიერი ამბავი

ოპერატორი თითქმის არ მუშაობს და მას მელიესივით კამერის მხოლოდ სწორი რაკურსით დადგმა ევალება.

გვ. 10-11

დურუჯი

თამთა მელაშვილის ეთერო

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ თამთა მელაშვილის ავტორობით „შაშვი შაშვი მაყვალი“ 2020 წელს გამოსცა. წიგნის მთავარი პერსონაჟი ეთერო ქართველი შუახნის ქალის სახეა, რომელიც ნათლად გვაჩვენებს ქართველი ქალის დილემებსა და დაბრკოლებებს, როდესაც ის იძულებულია მეზობლის თვალში იყოს სანიმუშო, მისაბაძი და ამავდროულად მაინც - გასაქილიკებელი და გასაჭორი.

ყურადღებას თავიდანვე იქცევს სასვენი ნიშნების გარეშე შექმნილი სათაური - „შაშვი შაშვი მაყვალი“ ან ინგლისურად „Blackbird Blackbird Blackberry“, - სამწერლობო ენა მთლიანად ყოველდღიურია, ავტორს არ დაუტოვებია ეთეროს ცხოვრებაში პოეტური მეტყველების ადგილი. აქ ძირითადად რიტმულობა უნდა ვეძებოთ, წიგნის წაკითხვის დინამიკა ზუსტად ისე იცვლება, როგორც ეთეროს ცხოვრება და ემოციები.

ეთერო პატარა ქალაქში ცხოვრობს. თავისსავე სარეცხი ფხვნილებისა და სხვა ჰიგიენური ნივთების მაღაზიაში მუშაობით პენსიაზე გასვლის შემდეგ უზრუნველი ცხოვრება ელის. და როგორც ხდება ხოლმე, გვიჩნდება მოლოდინი, რომ მისი ყოველდღიური საფიქრალით სავსე, მშვიდად მიმდინარე ცხოვრება ისეთმა პერსონაჟმა უნდა აღრიოს, გადმოიყვანოს კალაპოტიდან, რომელიც ისეთი ნამდვილია ყველა დავიფიცებთ, მსგავსი ადამიანი ერთხელ ჩვენც შეგვხვედრიაო.

რომანში ბევრი სამსჯელო საკითხია, ისეთი, თვალს რომ ვერ დახუჭავ. ერთ-ერთი ეთეროს სასიყვარულო ინტერესია, დისტრიბუტორი, „კეთილი ძაღლი ამდენ მგელივით კაცს შორის“, ზუსტად ეს ადამიანი დააყენებს მთავარი პერსონაჟის ცხოვრებას თავდაყირა და საკუთარ თავს უკეთ აცნობს. რეჟისორმა ელენე ნავერიანმა, „შაშვი შაშვი მაყვალის“ მიხედვით ფილმი გადაიღო, კინოთეატრში სანამ უკან მჯდომი ბოხი ხმა არ გავიგე - „ატყუებს“, მანამდე მჯეროდა ამ დაოჯახებული კაცის გულწრფელობისა, შესაბამისად, ამ საკითხზე საუბრის პასუხისმგებლობას საკუთარ თავს ვერ ვაკისრებ.

რაც ნამდვილად, ნათლად ჩანს, ისაა, რომ ეთეროს ცხოვრება მხოლოდ გარედანაა იდეალური, დალაგებული. საკუთარ ოთახში ფენებად დადებული მტვერი დაცულობის შეგრძნებას უტოვებს, არ აწუხებს და ვხვდებით, ცნობისმოყვარე მეზობლები რომ არა, ერთხელაც არ დაალაგებდა:

„ამ ჩემ ოთახს თითქმის არ ვალაგებ, ტილოს მარტო მაშინ თუ გავუსვამ, საწოლს რო გადავდგამ ერთი ფანჯრიდან მეორისაკენ. ისე კი სუ მტვრიანია აქაურობა, არეულ-დარეული. აქ მაინც ვერავინ შემოყოფს ცხვირს და თუკი შემოყოფს, ეგეც ან ცისანა იქნება, ან კიდე ნენო. აბა,სხვა ჩემთან ვინ მოვა? გარე ადგილები სუ წკრიალა მაქ. აბა,მეზობელს ჰო არ ალაპარაკებ სიბინძურეზე? მეზობელი არაფერზე არ უნდა ალაპარაკო, ქეთომ ჩამიდო ეს ტვინში. ჩამიდო კი არა, ჩამიტენა“.

რა აქვს მაინც ეთეროს? გარდაცვლილი დედის, ძმისა და მამის ფოტოსურათები, რომელთა ჩამოხსნის შემდეგ კედელზე კვალი რჩება, ზუსტად ის კვალი, რომელიც ეთეროს აზროვნებაში აქვს დატოვებული.

[...] „ახლა კიდე,რა ვიცი? მარტო შრომა ვიცი, მარტო მაღაზია, რეცხვა და უთო! იქნება და, რა ნიჭი მქონდა და ვერ ვიპოვე? არ მაპოვნინეს?“ წიგნის ინტერპრეტაცია ბევრნაირად შეიძლება, თუმცა ის შედეგი, რომელიც სხვის მიერ დაგეგმილ ცხოვრებას მოსდევს, ყველასთვის გასაგები იქნება.

ასეთები არიან მელაშვილის პერსონაჟები. ჩვე-

➤ გვ. 3

გვ. 2

ნი ახლობლები, კარის მეზობლები, შორი ნაცნობები, უნიჭოები და ნიჭიერები, ან ისეთები, ნიჭი რომ ჰქონდათ და არ აპოვნინეს, გამორჩეულები და უბრალოები და იმდენად ნამდვილები და ადვილად წარმოსადგენები, რომ კითხვის ნიშნებს აღარ ტოვებს ტექსტი. ლიტერატურათმცოდნე ლევან ცაგარელიც აღნიშნავს: „ავთენტური, ქალური ხმა ისმის თამთა მელაშვილის ახალ რომანში „შაშვი შაშვი მაყვალი“. თანამედროვე ქართული ფემინისტური პროზის სხვა ნიმუშებისგან განსხვავებით, ამ რომანში სრულიად მარგინალური, პროვინციელი (ლამის სუბალტერნული) ქალის ხმა ისმის. ეს ქალი არაფრით არაა გამორჩეული: არც გარეგნულად, არც ინტელექტუალურად, არც ბიოგრაფიულად... ესაა სრულიად ჩვეულებრივი, ასაკში შესული შინაბერა, რომლის ტიპური შინაგანი სამყაროც ალბათ პირველად იქცა ქართულ ლიტერატურაში ესოდენ მასშტაბური რეპრეზენტაციის ობიექტად“.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ამავე წიგნზე გადაღებული ელენე ნავერიანის ფილმი, რომელმაც სარაევოს კინოფესტივალზეც გაიმარჯვა საუკეთესო მხატვრული ფილმის კატეგორიაში. სწორედ ახლა გადის კინოთეატრებში და ეკატერინე ჩავლეიშვილის შესრულებით ეთერო ყველაზე გულწრფელ, ნამდვილ პერსონაჟად გვევლინება. გამოდის, „შაშვი შაშვი მაყვალი“ მხოლოდ წიგნების მოყვარულებს კი არ სთავაზობს დაუცენზურებელ ისტორიას, არამედ სინეფილიებსაც.

ჩვენი ცხოვრების თავად დაგეგმვა რომ შეგვეძლოს, ალბათ, არავინ ამოვირჩევდით ეთეროს სიუჟეტს. სიმართლე, ორივე - სუბიექტურიც და ობიექტურიც, კი ისაა, რომ ასეთი პატარ-პატარა თუ დიდი გადაწყვეტილებების მიღება ქალების უმეტესობას უწევს და ამ გადაწყვეტილებების მიღებამდე, ზოგჯერ, თუ ყოველთვის არა, პირველი, ვისი აზრიც გათვალისწინებულია, ეს მეზობელია. თამთა მელაშვილის „შაშვი შაშვი მაყვალი“ ქალთა ხმაა, იმ ქალების ამოძახილი, რომლებსაც ძალა ჯერ არ მოუკრებიათ, ბოლომდე აჯანყდნენ და ნაწილობრივ პასუხისმგებლობას მკითხველიც გრძნობს, არ იყოს ის საზოგადოების მიერ ამოშენებული კედელი, რომლის მიღმაც სხვა ადამიანის ხმა ვერ აღწევს.

ანა ხალიბეგაშვილი

დუბული

უოლტ დისნეის პერსონაჟები, რომლებმაც ისტორია შექმნეს



გიყვებით იმ გმირების თავგადასავლების შესახებ, რომელთა ისტორიებიც არც ისე დიდი ხნის წინ ყველა ჩვენი თანატოლის საყვარელი თავშესაქცევი იყო. მეტსაც გეტყვით, შესაძლოა, ბევრ უფროსსაც კი სიამოვნებას ანიჭებს მათი ყურება და წარმოსახვით იმ დროში დაბრუნება, როცა ისინი ანიმაციური ფილმების პერსონაჟებს ზღაპრულ სამყაროში გადაჰყავდათ და ზუსტად ისევე ახალისებდნენ, როგორც ჩვენ პატარაობაში.

თითქმის ყველას სმენია ჰოლივუდის დიდების ხეივნის შესახებ, სადაც ქვაფენილს კინოს მოღვაწე გამოჩენილი ადამიანების სახელობის ვარსკვლავები ამშვენებს, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ დიდების ხეივანში რეალური ადამიანების გვერდით ანიმაციური ფილმების პერსონაჟებისთვისაც მოიძებნება ადგილი. მათ შორისაა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ანიმაციური გმირის, მინი მაუსის ვარსკვლავიც, რომელიც მას 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაუხსენეს.

პირველად მინი მაუსი ეკრანებზე 1928 წელს გამოჩნდა მოკლემეტრაჟიან ანიმაციურ ფილმში „შეშლილი თვითმფრინავი“. ყველამ იცის, რომ მისი ავტორი ცნობილი მულტიპლიკატორი უოლტ დისნეია, მაგრამ შესაძლოა არ გსმენიათ, რომ ამ პერსონაჟს წლების განმავლობაში თვითონ დისნეი ახმოვანებდა. გეტყვით, იმასაც, რომ მინი მაუსის ვარსკვლავი დიდების ხეივანში რიგით 2627 - ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ, მინი მაუსის თანამგზავრის, მიკი მაუსის ვარსკვლავმა ამავე ბულვარში 40 წლის წინ დაიდო ბინა და სწორედ მიკი მაუსია პირველი ანიმაციური პერსონაჟი, რომელსაც დიდების ხეივანში საკუთარი ვარსკვლავის ქონის პატივი ერგო. ეს 1978 წელს მოხდა, მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული თაგუნას 50 წლის იუბილეზე.

როგორც ამბობენ, დისნეის, შესაძლოა, მიკი მაუსის შექმნაზე არც ეფიქრა და მის ნაცვლად მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ანიმაციური პერსონაჟის სტატუსი მულტიპლიკატორის მიერ შექმნილ კიდევ ერთ ნახატ გმირს, კურდღელ ოსვალდს რგებოდა, მაგრამ იურიდიული გაუგებრობის გამო, ავტორს მასზე უარის თქმა მოუხდა.

როგორც მინი მაუსსა და ბევრ თავის სხვა პერსონაჟს, თავად უოლტ დისნეი ახმოვანებდა. ნახატი ფილმები მიკი მაუსის მონაწილეობით 10-ჯერ იყო წარდგენილი ოსკარის ნომინაციაზე, თუმცა „ოსკარი“ მხოლოდ ერთხელ აიღო. 1994 წელს კი მიკი მაუსის 4 სერია მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო 50 ანიმაციური ფილმის ჩამონათვალში მოხვდა.

➢ გვ. 5

გვ. 4

დონალდ დაქი - დისნეის კიდევ ერთი საყოველთაოდ აღიარებული პერსონაჟი, მიკი მაუსზე 6 წლით უმცროსია. მეზღვაურის ტანისამოსსა და ბერეტში გამოწყობილი სასაცილო და ქოთქოთა თეთრი იხვი ავტორმა 1934 წელს შექმნა. ის პოპულარობით მიკი მაუსსაც კი ეჯიბრებოდა. გარკვეული დროის შემდეგ, როცა დაქი უფრო დაიხვეწა და უკეთესი გახდა, რამდენჯერმე რეიტინგში დაწინაურებაც კი მოახერხა. მიკი მაუსის მსგავსად, ჟურნალ TV Guide's მიერ 2002 წელს შედგენილ სიაში დონალდ დაქი ყველა დროის საუკეთესო 50 ანიმაციურ პერსონაჟს შორის მოხვდა.

უოლტ დისნეი 32 ოსკარის მფლობელია. ის ხშირად იყო პირველი: მან გადაიღო პირველი ხმოვანი, პირველი ფერადი, ასევე პირველი სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი - „ფიფქია და შვიდი ჯუჯა", რომელიც ბევრი თვალსაზრისით არის განუმეორებელი, თუნდაც იმით, რომ მან ერთ ნომინაციაში ჟიურის გონებამახვილური გადაწყვეტილებით ერთბაშად 8 ოსკარი დაიმსახურა. თითო პატარა 7 ჯუჯისთვის და ერთი დიდი-ფიფქიასთვის. ეს ჯილდო ოსკარების დაჯილდოების ცერემონიაზე დისნეის იმ დროის ამერიკული კინოს ყველაზე ცნობილმა პატარა ვარსკვლავმა, 10 წლის შირლ ტემპლმა გადასცა. ეკრანიზაცია, ძმები გრიმების ზღაპრისგან განსხვავებით, საკმაოდ ხალისიანია და პოზიტიურ განწყობას ქმნის. საინტერესოა, რომ ამ ანიმაციურმა ფილმმა იმ დროის ყველაზე პოპულარულ მხატვრულ ფილმს „ქარწაღებულნი" გაუსწრო პოპულარობით.

თუ თქვენ კიდევ ერთი ანიმაციური ფილმი „ბემბი" გინახავთ, შეიძლება გიფიქრიათ, რომ ამას საფუძვლად ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი" უდევს. სინამდვილეში ფილმი ავსტრიელი მწერლის, ფელიქს ზალტენის მიერ 1923 წელს დაწერილი მოთხრობის ეკრანიზაციაა, რომელიც ორი ათეული წლის შემდეგ დისნეიმ გადაიღო. მისი პრემიერა 1942 წელს შედგა და ეს იყო დისნეის მეხუთე სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ბემბი", რომელიც ოსკარის სამ ნომინაციაში იყო წარმოდგენილი. საუკეთესო სიმღერისთვის, საუკეთესო მუსიკისთვის და საუკეთესო გახმოვანებისთვის, თუმცა ვერცერთის აღება ვერ შეძლო. წარუმატებელი საპრემიერო ჩვენების მიუხედავად, ხუთწლიანი დაგვიანებით ფილმმა მაინც მოიპოვა პოპულარობა და 1948 წელს ოქროს გლობუსიც კი დაიმსახურა. 2006 წელს los angeles business-ის გამოკითხვის თანახმად, „ბემბის" დისნეის ნამუშევრებს შორის 21%-ით პირველ ადგილზე გავიდა. რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობთან" ბემბის ისტორიის მსგავსებას: ორივე ამბავი მართლაც სევდიანია, მაგრამ „ბემბის" ოპტიმისტური დასასრული აქვს.

უოლტ დისნეისა და მისი სტუდიის ნამუშევრების შექმნასა და ისტორიაზე ლაპარაკი ისეთივე საინტერესოა, როგორც მათი ყურება.



ნინი ბიჩინაშვილი

დუბული

ქართულ სცენაზე გაცოცხლებული - რიჩარდ III

უილიამ შექსპირის პიესები და მათი თანამედროვე ბუნება არც ერთ ეპოქაში არ კარგავს აქტუალობას. განსაკუთრებით გამორჩეულია მისი ტრაგედია „რიჩარდ III“, რომელიც მსოფლიოს მრავალ თეატრში დაიდგა და მათ შორის საქართველოშიც. ისტორიული პიესა მოგვითხრობს პლანტაგენეტთა დინასტიის ბოლო წარმომადგენლის, რიჩარდ III, ის ცხოვრებაზე, რომელიც სისხლით, სიძულვილით და ძალაუფლებისკენ სწრაფვითაა აღსავსე. პიესაში რიჩარდი კლავს ყველას, ვინც წინ ეღობება, მათ შორის ოჯახის წევრებსაც. შექსპირი ტრაგედიაში გვიჩვენებს, როგორც რიჩარდის აღმასვლას, ასევე დაცემას ჰენრი ტიუდორთან ბრძოლაში, რომელიც ვარდების ბრძოლის ალუზიაა. თვითონ პიესა ისტორიულ კონტექსტშიც ძალიან საინტერესოა, ვინაიდან რიჩარდი დანახულია, როგორც მკვლელი, ტირანი, ბოროტი, სულიერად და ფიზიკურად მახინჯი პიროვნება. საეჭვოა ის თუ რამდენად შეესაბამება ყოველივე ეს სინამდვილეს, რადგანაც შექსპირი, მოგეხსენებათ, ელისაბედის ხანაში მოღვაწე ხელოვანია. ეპოქაში, რომელშიც ტიუდორთა სიძლიერეზე მითები დადიოდა, შეიძლებოდა ანტიპარი გამოეყენებინათ წინა ხელისუფლების, ამ შემთხვევაში, რიჩარდის წინააღმდეგ. ფაქტია ის, რომ რიჩარდი არც კუზიანი იყო, არც კოჭლი და არც ისეთი მახინჯი, როგორც ეს პიესაშია გადმოცემული. თუმცა ლიტერატურასა და თეატრისთვის მნიშვნელოვანია ტექსტი, როგორც ხელოვნების ნიმუში, რომელიც თავისი არსით არც უნდა აღწერდეს რეალობას. შექსპირის შემოქმედება რომ მხოლოდ რეალობის აღწერა ყოფილიყო, მჯერა, ახლა მისი სახელი ნაკლებად ცნობილი იქნებოდა.

ტრაგედია საქართველოშიც გახდა დაინტერესების ობიექტი და 1979 წელს რობერტ სტურუამ შექსპირის უკვდავი ტრაგედია უძლიერეს სპექტაკლად აქცია. სპექტაკლი, რომელმაც ევროპაში მნახველი განაცვიფრა, საქართველოში კრიტიკის ობიექტი გახდა. ვინაიდან, საბჭოთა საქართველოში დადგმული სპექტაკლი, რომლიც შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ“ და კულმინაციური სცენა, რომელშიც რიჩარდ III გაშლილ დროშაზე ებრძვის ჰენრი VII - ს, სადაც გამარჯვებული ჰენრი დასავლეთის მხარეს დგას, ხოლო დამარცხებული რიჩარდი - საბჭოთა კავშირის, ბუნებრივია, იმდროინდელ საქართველოში აღშფოთებას გამოიწვევდა. აქედან გამომდინარე, სპექტაკლიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვეს და საბჭოურ საქართველოში ვერ შეაფასეს, როგორც ხელოვნების ნიმუში. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ სპექტაკლი ყველა პოლიტიკურ სიტუაციაზე მაღლა იდგა და 2012 წელს მოსკოვში გამოქვეყნებულ ჟურნალ „თეატრში“ მსოფლიოს საუკეთესო სპექტაკლთა ათეულში შევიდა.

სპექტაკლის მთავარ როლს მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე თამაშობდა, რომელიც იმ პერიოდში ძირითადად კომიკურ როლებს ირგებდა. შექსპირის უძლიერესი ტრაგედის გმირის - რიჩარდის როლის მორგება კი უდიდეს გამოწვევასა და პასუხისმგებლობას წარმოადგენდა ყველა მსახიობისთვის,

➢ 7 გვ.

გვ. 6

განსაკუთრებით კომედიის ჟანრში მოთამაშისთვის. თუმცაღა, სტურუას მიერ დანახული რიჩარდ მესამე არცთუ ისე ტრაგიკულია, ვინაიდან მასში აღრეულია პაროდიზირებული სცენები და კომიკური ნიუანსები. გამომდინარე აქედან, სტურუამ დიდი ხნის მუშაობისა და კვლევის საფუძველზე, ზუსტად მოახერხა პიესის პერსონაჟის ფსიქოანალიზი და მისი ინტერპრეტაცია ისე, რომ ზუსტად მორგებოდა იმდროინდელ და არა მარტო იმ დროინდელ საქართველოს პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობას. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად სტურუას „რიჩარდ III“- ისთვის კომპოზიტორმა გია ყანჩელმა შექმნა მელოდია, რომელიც სპექტაკლს და განსაკუთრებით მის პაროდიზირებულ სცენებს ამშვენებს, ისეთს, როგორიცაა: ბოლო სცენა, სადაც ჰენრი ამარცხებს ტირან რიჩარდს, თუმცა თვითონაც არანაკლები ენთუზიაზმით მიიწევს მაღლა და იდგამს რიჩარდის გვირგვინს, ანუ სცენას, სადაც ერთ ტირანს ანაცვლებს მეორე. ან კიდევ, როცა დედოფალი მარგარეტი, რიჩარდისგან ძალაუფლებით ცდუნებული, იდგამს გვირგვინს, რომელიც თავისი შვილისთვის მიაქვს, რათა რიჩარდს (ბიძას) მიათხოვოს იგი. სტურუასმიერი რიჩარდის კომიკურობას ამ ტრაგედიაში ჩხიკვაძის თამაში იდეალურად გამოხატავს, სადაც იგი გამიზნულად ხან კოჭლობს ხან-არა, ხან მკაცრი ხმა აქვს, ხან შერბილებული, რაც მნახველთა ყურადღებას მთელი სპექტაკლის მიმდინარეობისას იპყრობს.

შექსპირის პიესა, როგორც სტურუასეული ინტერპრეტაცია, გამსჭვალულია თემებით, რომლებიც განაპირობებს ამ პიესის მარადიულობასა და მუდმივ თანამედროვეობას, ესენია ძალაუფლებისკენ სწრაფვა, ანუ რიჩარდის მიზანი, რომლისთვისაც იგი იყენებს ყველა შესაძლო საშუალებას, რომლებიც გამოხატულია რიჩარდის წინდახედულ, ცბიერ მაგრამ გონიერ ქმედებებში: ოჯახის წევრების მკვლელობა, შანტაჟი, მანიპულაცია და სხვა. მსგავსი ქმედებები კი ყველა დიდ ეპოქას ახასიათებდა, რასაც ისტორიაც ამტკიცებს, განსაკუთრებით ქვეყნის მონარქიული მოწყობის შემთხვევაში მამა შვილებს კლავდა, რომ ტახტში არავინ შესცილებოდა, ძმა-ძმას და ა.შ. ანუ ძალაუფლების თემატიკა არახალია და არც მოძველებული. ასევე ვხვდებით სიყვარულისა და სიძულვილის თემატიკას, პიესაში ჩანს, თუ როგორ „იყვარებს“ დედოფალი ანნა რიჩარდს, იმისდა მიუხედავად, რომ ყველაზე მეტად სძულს იგი, წყევლის, რადგან მან მოუკლა ქმარი და სიმამრი, სტურუას დადგმაშიც კარგად ჩანს, თუ როგორ იგდებს ხელთ რიჩარდი მას და ამის პარალელურად, სპექტაკლში რიჩარდი გარდაცვლილთა კუბოებთან ინტიმურ ურთიერთობას ამყარებს ანნასთან. ეს სცენა უდიდესი ტრაგედიითა სავსე, თუმცა, ირონიულია, რადგანაც ადამიანებს ხშირად უყვარდებათ ის, ვინც ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ამას. ბოლოს, კი თემატიკა, რის გამოც მოჰყვა ესეოდენ დიდი გამოხმაურება ამ სპექტაკლს, ეს არის საქართველოს პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების ჩართვა მასში ისე, რომ ეს ქართველი მნახველისთვის თვალშისაცემი და სენსიტიური იყოს, თუმცა სპექტაკლი პიესის ხაზს იმდენად მიჰყვებოდეს, რომ ეს ყოველივე უცხოელი მნახველისთვის არ იყოს გამაღიზიანებლად გამოხატული. „სტურუამ წარბშეუხრელად გადააკეთა პერსონაჟები, შეცვალა ტექსტი, აქცენტები. მერე რა! შექსპირის არსი, მისი სული არ დაუკარგავს. ის აქვეა, ამ ტრაგიკულ და დიდებულ ცირკში“. ამბობდა ნიკოლ ზანდი ამ დადგმაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს სპექტაკლი პროდასავლური ხასიათის იყო და საბჭოთა კავშირშიც შესაბამისად აღიქვეს, რაც იმდროინდელი საქართველოს ნაციონალური თვითშეგნებისთვის ძალიან დიდ მნიშვნელობას წარმოადგენდა.

ქართველების მიერ გაცოცხლებული „რიჩარდ III“ იმდენად შთამბეჭდავი და დახვეწილი სანახავი იყო, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მნახველისთვის, რომ ისინი აღნიშნავდნენ - მსახიობები იმდენად რეალურად გადმოსცემენ ემოციას, რომ მაყურებელმა სპექტაკლის სინქრონულ თარგმანი დაივიწყა და უსმენდა მას უცხო (ქართულ) ენაზე და აღიქვამდა მთელი დადგმის არსს. რაც პირდაპირი მანიშნებელია რეჟისორისა და მსახიობების პროფესიონალიზმის. იმისდა მიუხედავად, რომ საბჭოურმა მაყურებელმა სპექტაკლი პოლიტიკურ კონტექსტში აღიქვა, უგულებელყოფილი არ უნდა იქნეს მისი მნიშვნელობა ქართული თეატრის განვითარებაში. მსოფლიოს საუკეთესო სპექტაკლთა ათეულში შესული რობერტ სტურუას „რიჩარდ III“ არის დადგმა, რომელიც ყველა თაობამ უნდა იხილოს, არა მარტო ესთეტიკური სიამოვნებისთვის, არამედ იმ თემებისთვის, რაც მასშია თავმოყრილი და იმ ინტერპრეტაციისთვის, რომელიც ყველა ქართველის რეალობას წარმოადგენს.

მაშასადამე, შექსპირის უკვდავი ტრაგედია „რიჩარდ III“ არ კარგავს აქტუალობას ისეთი მარადიული თემების გამო, როგორებიცაა: ძალაუფლება, სიყვარული, სიძულვილი, ბოროტება, შურისძიება და ასე შემდეგ. ტრაგედია მსოფლიოს ბევრ თეატრში დადგმულა, მაგრამ საეჭვოა სადმე მსაგვსი ინტერპრეტაციით განეხორციელებინათ როგორც საქართველოში. სპექტაკლმა, რომელმაც გააერთიანა საქართველოს ნაციონალური ღირებულებები შექსპირის სამყაროსთან შერწყმით, არის ნამდვილი ხელოვნების ნიმუში, რომელიც ყველა ლიტერატურის, შექსპირის, ხელოვნების თუ თეატრის მოყვარულმა უნდა ნახოს.

ლიზა ხასაია

დუბული

შეყვარებულები ახალი ხიდიდან

ფრანგულ კინოში 1980-იან წლებში მოდიან ახალგაზრდა კინორეჟისორები, რომელთაც კრიტიკამ „ახალი ტალღა“ უწოდა. ამ მიმართულებას სამმა ახალგაზრდა რეჟისორმა ჩაუყარა საფუძველი. ესენი იყვნენ ლუკ ბესონი, ჟან-ჟაკ ბენექსი და ლეოს კარაქსი. მათი დებიუტი დიდ ეკრანზე თითქმის ერთდროულად შედგა. სწორედ მათ შექმნეს იმ პერიოდის ფრანგული კინოს ფონი. ამ რეჟისორების ფილმები გამოირჩეოდა ახლებური სტილისტური თუ საავტორო ენით. კინოსურათებში მოქმედება ხშირად ვითარდებოდა მარგინალური ჯგუფების, მიწისქვეშა და ურბანული სუბკულტურების წარმომადგენლების გარშემო, ამას თან ახლდა მთავარ გმირებს შორის მტკივნეული ურთიერთობების ჩვენება. ფილმების სტილისტიკა ისე იყო აგებული, რომ წინ იწევდა არა სიუჟეტი და შინაარსობრივი სიღრმე, არამედ სანახაობრივი, ვიზუალური მხარე და იმედგაცრუებული ახალგაზრდობის მეამბოხე ძახილი. ამ რეჟისორების ფილმები სავსე იყო სიახლეებით, თამამად აჩვენებდნენ ტრადიციასთან ღია განხეთქილებას, მათ კინოსურათებში სამყარო თავხედური ხედვით იყო წარმოდგენილი. ბენექსის, კარაქსისა და ბესონის შემოქმედებამ და მათმა პირველმა ფილმებმა კინემატოგრაფში შეცვალეს ყველაფერი. ფილმების მთავარი გმირები ძირითადად იყვნენ ახალგაზრდები. გამოჩნდნენ ახალი სახეები: გაუცხოებული და გარიყული გმირები, მარგინალური ახალგაზრდობა, ხშირად მათ კრიმინალურ სამყაროსთან აქვთ კავშირი, მათ ცხოვრების მთავარ არსს სიყვარული წარმოადგენს, თუმცა მათ სამყაროში სიყვარული ტრაგიკულია. რეჟისორები ეძებდნენ ახალ ეკრანულ სახეებს, ძირითადად დამწყებ მსახიობებს.

როგორც აღვნიშნე, ლეოს კარაქსი ფრანგული „ახალი ახალი ტალღის“ წარმომადგენელია. დღემდე ის რჩება კინემატოგრაფის ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ პერსონად. ლეოს კარაქსი - ეს მისი ფსევდონიმია, რომელიც რეალური სახელის ალექსისა და ამერიკული კინოაკადემიის ჯილდოს - „ოსკარის“ შერწყმით მიიღება. სწორედ ამ ფსევდონიმით დაიმკვიდრა მან სახელი კინემატოგრაფში. ლეოს კარაქსი კინოთი გვიან დაინტერესდა, თუმცა სწრაფად იპოვა მასში სამყაროსთან კომუნიკაციის თითქმის ერთადერთი გზა. ის იღებდა კლიპურ-კომპიუტერულ მანერაში.

1991 წელს რეჟისორი იღებს ფილმს სახელწოდებით „შეყვარებულები ახალი ხიდიდან“. ეს კინოსურათი წარმოადგენს მესამე ფილმს ალექსის ტრილოგიისა. ეს ტრილოგია გაერთიანებულია ერთი და იმავე გმირის სხვადასხვა ვარიაციით, რომელსაც ასრულებს დენი ლავანი, როგორც რეჟისორი თავად აღნიშნავს, მისი ეკრანული ალტერ ეგო. „შეყვარებულები ახალი ხიდიდან“ მოგვითხრობს სარემონტოდ დახურულ პარიზის ხიდზე უსახლკარო კაცისა და დაბრმავების გზაზე მყოფი მხატვარი ქალის შეხვედრის შესახებ. მათ შორის იბადება უცნაური ურთიერთობა, რომელიც შემდეგ სიყვარულში გადაიზრდება. რომანტიკული სასიყვარულო დრამა - ცხოვრების ფსკერზე აღმოჩნდა. ორ ადამიანს ერთმანეთს შეახვედრებს ბედი და ახალი ხიდი. მათ შორის გაჩაღებული რომანი ერთადერთი შანსია მომავლისთვის. ამ ორი ადამიანის შეხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ ასეთ პირობებში და არავითარ სხვა შემთხვევაში, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ცხოვრებისგან გარიყულები, რომ მათი ცხოვრებისეული გზები გადაკვეთილიყო. ალექსი - მაწანწალა, უსახლკარო, ლოთი, ილუზიონისტი, რომელიც სარემონტოდ დახურულ

➢ 9 გვ.

ხიდზე ცხოვრობს, გულის სიღრმეში გულწრფელ გრძნობებს ეძებს. მის ცხოვრებაში მოულოდნელად ჩნდება მიშელი, ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც კარგავს მხედველობას, რომელმაც მიატოვა უზრუნველყოფილი ცხოვრება, დამოკიდებული ხდება ალექსზე. საზოგადოების მიერ უარყოფილი ორი ადამიანის სიყვარულის თემა მიესადაგება კარაქსის კინემატოგრაფიულ სულისკვეთებას. ალექსმა და მიშელმა ერთმანეთი იპოვეს ამ მღელვარე გრძნობისთვის სრულიად წარმოუდგენელ გარემოში, გარემოში, სადაც ყოველ ნაბიჯზე განსაცდელია, მაგრამ თავისუფლების წყურვილი, ყველაფრის მიუხედავად, დაუვიწყრად მძაფრია. რა აკავშირებს ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან? ხიდი ამ ფილმში შესაძლოა მეტაფორული და სიმბოლური იყოს. ხიდი არის კავშირის, გაერთიანების პერსონიფიკაცია, სწორედ ეს ხდება ფილმის მთავარ გმირებთან.

აკვიატება, დამოკიდებულება, ძალადობა და სიყვარული, ზოგჯერ ეს ყველაფერი ერთად. ეს ფილმი არის ემოციების ატრაქციონი. ცოტა არ იყოს, ძნელი სათქმელია, არის თუ არა ეს სიყვარულის ისტორია. არის თუ არა ეს სიყვარული, როცა გსურს ვინმეს დაეპატრონო იმ დონემდე, რომ გირჩევნია დაბრმავდეს, ვიდრე დატოვო? არის თუ არა ეს სიყვარული, როდესაც ვინმეს შენთან ერთად დეგრადაციის ფსკერზე ითრევ? ეს მართლაც არის ისტორია შეპყრობითობასა და დამოკიდებულებაზე ორ ადამიანს შორის, რომლებიც ადამიანური არსებობის ზღვარზე არიან. ფილმის გმირები პოულობენ რაღაც სინაზის, სიყვარულის მსგავსს და ბოლომდე ეჭიდებიან ერთმანეთს. მთელი ფილმის განმავლობაში ამ პერსონაჟებს ბევრი რამის გადალახვა უწევთ, ბედი მათ უამრავ წინააღმდეგობას უგზავნის. ერთ დღესაც, როდესაც გაირკვევა, რომ მიშელისთვის შესაძლებელია მხედველობის აღდგენა, ალექსისთვის ყველაფერი შეიცვლება. ეს ნიშნავს, რომ ის მიშელს დაკარგავს. ის დაუბრუნდება თავის ყოფილ სამყაროს, წარსულს, ისტორიას. ალექსი კი თითქოს როგორც სიზმარი დარჩება აქ, ხიდზე. ალექსმა კარგად იცის, რომ საყვარელი ადამიანის შენარჩუნება მხოლოდ მათ სამყაროში შეუძლია, სწორედ ამიტომ ცდილობს წინ აღუდგეს მიშელის წასვლას.

სიმბოლურია, რომ ალექსის ციხიდან გამოსვლის შემდეგ, შეყვარებულების შეხვედრა ახლა უკვე დასრულებულ ხიდზე მოხდება. ხიდზე ცხოვრება შეიცვალა, შეიცვალა მიშელიც, რომელმაც მხედველობა დაიბრუნა და უკვე მაწანწალაც აღარაა. ფილმის ბოლო სცენები თითქოს საკუთარი თავის დარწმუნებაა იმაში, რომ ყველაფერი კიდევ შესაძლებელია და ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. შეყვარებულები კვლავ ერთიანდებიან მას შემდეგ, რაც ისინი საკუთარ პრობლემებს დაძლევენ. ფილმის ბოლო ეპიზოდში გმირები მდინარეში ხტებიან, ეს არის მათი ერთგვარი გაქცევა რეალობისაგან. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მიცურავენ ისინი სენაზე უკეთესი და ბედნიერი მომავლისკენ.

თამთა ქარდავა

დუბული

ჰენრი შუგარის მშვენიერი ამბავი

2023 წელს უეს ანდერსონი მსოფლიო კინომაყურებელს ხუთი ფილმით წარუდგა - „ქალაქი ასტეროიდი“ და მოკლემეტრაჟიანი ფილმებით - „საწამლავი“, „გედი“, „ვირთხების დამჭერი“ და „ჰენრი შუგარის მშვენიერი ამბავი“.

„ჰენრი შუგარის მშვენიერი ამბის“ დასაწყისში ანდერსონის ჩვეული სტილით მოწყობილ ოთახს ვხედავთ. მთხრობლის ხმა გვატყობინებს, რომ ეს მწერლის ოთახია. იგი საკუთარი კომფორტისათვის საჭირო ატრიბუტებს ამოწმებს, რაც, საბოლოოდ, ამბის დაწყებისათვის აღმოჩნდება აუცილებელი, ამბისა ჰენრი შუგარის შესახებ. ფილმში ჩანს ორი სიუჟეტური ხაზი, რომლებიც ერთმანეთთან დასაწყისშივე საინტერესოდ იჯაჭვება.

მთხრობელი (რეიფ ფაინზი) აღწერს, რომ ჰენრი შუგარი მდიდარი ინგლისელი არისტოკრატია, რომელიც ერთ „უიკენდზე“, მეგობრის ქალაქგარეთა სახლში სტუმრობისას, ხელნაწერ რვეულს წააწყდება. სწორედ ამ მომენტში, ფილმში შემოდის მეორე სიუჟეტური ხაზი, რომლის მთავარი გმირიც, იმდად ხანი (ბენ კინგსლი), ექიმს თავის თავგადასავალს უყვება - ის თვალების გარეშე ხედავს. მოკლედ რომ ვთქვათ, განდეგილს ნახევარი ცხოვრება იოგასაგან ყურადღების კონცენტრაციის შესწავლისათვის მოუნდომებია და საოცარი შედეგისათვის მიუღწევია - თვალები აქვს, მაგრამ დასანახად მათი გამოყენება არ სჭირდება. ამ ამბით მოხიბლული ჰენრი შუგარი გარე სამყაროსთან კონტაქტს წყვეტს და ნახევარი ცხოვრების ნაცვლად, დაოსტატებას 3 წელსა და 3 თვეს ანდომებს. ამ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას სამორინეს „გასაკოტრებელ“ ფანდად იყენებს, თუმცა, მოგების მიუხედავად, სიცარიელეს გრძნობს და სარკეში საკუთარი ვენიდან გულისკენ მცოცავ თრომბს ამჩნევს. სიკვდილის სიახლოვე ამ ტრიუმფისადმი მის შეხედულებას ცვლის.

სიბრძნის სანაცვლოდ თვალის ჩინის დათმობა ახალი სიუჟეტი არ არის. თუნდაც სკანდინავიური ღმერთების მეფის, ოდინის მსხვერპლი რომ გავიხსენოთ, სამყაროს ხის, იგდრასილის, ფესვებქვეშ მდებარე გიგანტი მიმირის სიბრძნის ჭიდან წყლის დალევისა და ჭეშმარიტების შეცნობისათვის ერთი თვალი რომ დათმო. ჰენრი შუგარი თვალებზე უარს არ ამბობს, თუმცა მათი გამოყენება აღარ სჭირდება.

ერთი შეხედვით, ეს არის ტელესპექტაკლი. კამერა, ძირითადად, სტატიკურადაა და მოქმედება მის წინ ხდება. კადრში ჩანან სცენის მუშებიც კი, რომლებიც არამარტო დეკორაციებს ცვლიან, არამედ გრიმსაც უკეთებენ პერსონაჟებს. ოპერატორი თითქმის არ მუშაობს

➢ 11 გვ.

და მას მელიესივით კამერის მხოლოდ სწორი რაკურსით დადგმა ევალება. ფილმის მიმდინარეობასთან ეს სტატიკურობაც დინამიკურადაა შერწყმული და ზედმეტ მოძრაობას აღარ საჭიროებს.

შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ეს ნამუშევარი საერთოდ არაა ფილმი და, უბრალოდ, რამდენიმე მთხრობელი ჰყვება ისეთ ამბავს, რომლის მხოლოდ მოსმენაც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ თვალების დახუჭვიდან რამდენიმე ხანში ხმა გვშორდება და თვალს ინტერესის გამო ვახელთ - შუქი ხომ არ ჩაქრა. ამ ხერხით ანდერსონი ეკრანთან გვაბრუნებს და „გვაიძულებს“, რომ თხრობას, ყურთან ერთად, თვალიც ავაყოლოთ. ვინაიდან ეს ფილმი თავის თავში კინოს, თეატრსა და რადიოდრამას აერთიანებს, თვალდახუჭულმაც შეგვიძლია „ვნახოთ“ იგი. საოცარი დიქციითა და სუფთა ბრიტანული ინგლისურით მოთხრობილი ეს მშვენიერი ამბავი მხოლოდ მოსასმენადაც სასიამოვნოა - განდომებს, რომ მასში სიმართლე იყოს.

ლისებიდან მართვას ცდილობს. ფული არასდროსაა საკმარისი, თუ ის ძალაუფლებასა და სხვების ცხოვრების კონტროლს არ ჰყოფნის. უეს ანდერსონმა იმედი ჯერ კიდევ „სასტუმრო გრანდ ბუდაპეშტის“ (2014) მთავარი გმირის, „მუსიე გუსტავის“ რეპლიკით მოგვცა: „ისევ დარჩა ადამიანურობის მცირე გამოვლინებები ამ ჟლეტაში, რასაც ადრე კაცობრიობა ერქვა“.

ფილმის ქრონომეტრაჟი სულ რაღაც 37 წუთი გრძელდება, თუმცა მთელი ცხოვრების განმავლობაში დასამახსოვრებელ კინემატოგრაფიულ გამოცდილებას იძლევა. მისი პრემიერა ვენეციის კინოფესტივალზე შედგა და მან რამდენიმე წუთიანი აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. რთულია ამ ფილმში მთავარი გმირი გამოყო, რადგან რეიფ ფაინზის მთხრობელიც ისეთივე მნიშვნელოვანი პერსონაჟია, როგორიც ბენ კინგსლის იმდად ხანი და ბენედიქტ კამბერბეჩის ჰენრი. სამივე მათგანი სხვა როლებსაც ირგებს და თან ისე, რომ პერსონაჟთა სახეების გამეორება ფილმის მსვლელობას დინამიკურად ერწყმის. „სასტუმრო გრანდ ბუ-



სიმდიდრის მოხვეჭა ან მემკვიდრეობით მიღება ბედნიერების გარანტიას არ იძლევა. ამ დროს ახალი მოთხოვნილებები და თავგადასავლების ძიების სურვილი ჩნდება. ამისათვის ზოგიერთი ქვეყნებს ყიდულობს, ზოგი - ეგზოტიკურ ცხოველებს, ზოგი კი - პროცესების კუ-

დაპეშტის“ შემდეგ, ეს ფილმი შეიძლება ჩაითვალოს უეს ანდერსონის საუკეთესო ნამუშევრად, რომლითაც მან საკუთარი წარმოსახვის შესაძლებლობები გაგვახსენა.

ონისე ქვაჩაკიძე